ირინე ჟვანია - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამარ აბაშიძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამარ მახარაძე - საჯარო პოლიტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათ ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპეციალური მასწავლებელი - ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშემწყობი რგოლი

საჯარო სკოლებში 2024 წლის მონაცემებით 12 000-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე ირიცხება (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 2023). შესაბამისად, სპეციალური მასწავლებელის პროფესია სულ უფრო აქტუალური ხდება. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო, დადგა დამხამარე პერსონალის საჭიროება, რომელიც დაეხმარება საგნის პედაგოგს სსსმ მოსწავლეების სწავლებაში.

თავდაპირველად ზოგადი განათლების შესახებ სქართველოს კანონში გაჩნდა ჩანაწერი „სპეციალურ საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლის“ შესახებ. 2010 წელს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით განისაზღვრა ტერმინი „სპეციალური მასწავლებელი“. ბოლო რედაქციის მიხედვით, სპეციალური მასწავლებელი არის „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან საგნის მასწავლებელთან ერთად ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს/მოსწავლეებს ან/და ინდივიდუალურად/ჯგუფურად მუშაობს მასთან/მათთან სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა უნარის განვითარების მიზნით“[1] (21[2]). მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით განისაზღვრა სპეციალური მასწავლებლის პროფესია და მისი მნიშვნელოვანი როლი სკოლაში, დადგა და ახლაც დგას სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაციის პრობლემა. ინტენსიური მსჯელობის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ უფროსი სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად, სისტემაში არსებულ პრაქტიკოს სპეციალურ მასწავლებლებს გამოცდის ჩაბარებით უნდა დაედასტურებინათ პროფესიული კომპეტენცია. განისაზღვრა, რომ „პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებელი ვალდებულია კომპეტენციის დადასტურების მიზნით 2025 წლის 1 იანვრამდე ჩააბაროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა“ (მუხლი 61 [3]).

სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავდა საგამოცდო პროგრამა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2021 წელს პირველად ჩაატარა უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა. მას შემდეგ აღნიშნული გამოცდა ყოველწლიურად ტარდება და ჩაბარების მსურველთა რაოდენობა არის დაახლოებით 2600. მათგან ნაწილი სისტემაში დასაქმებული პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებელია, რომელსაც სტატუსის შეცვლა სურს, ნაწილი კი პირველად შედის სისტემაში, როგორც უფროსი სპეციალური მასწავლებელი.

ის, რომ სისტემაში არსებული სპეციალური მასწავლებლებელთა რაოდენობა საკმარისი არ არის და რომ ხშირად მათი კვალიფიკაცია არ არის დამაკმაყოფილებელი არაერთხელ დადასტურდა კვლევების მონაცემებით (სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საგრანტო პროექტი „მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად“, 2021-2023).

სპეციალური მასწავლებლის პროფესიის გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება სისტემაში უფროსი სპეციალური მასწავლებლის შესვლის გზების გამრავალფეროვნებაა. ბოლო დრომდე უფროსი სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მოპოვება შესაძლებელი იყო გამოცდით, ხოლო 2024 წლიდან იწყება „სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა“, რომლის კურსდამათავრებულს მიენიჭება უფროსი სპეციალური მასწავლებლის სტატუსი.

[1] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

საკვანძო სიტყვები: სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, უფროსი სპეციალური მასწავლებლის სტატუსი.

Irine Zhvania - Doctor of Psychology, Associate Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tamar Abashidze - Doctor of Psychology, Associate Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tamar Makharadze - Doctor of Public Policy, Associate Professor, Faculty of Social and Political Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Special Teacher - A Promoter of Inclusive Education

According to the data of 2024, there are approximately 12,000 students with special educational needs (SEN) studying in public schools (Education Management Information System, 2023). Consequently, the profession of the special teacher is becoming increasingly relevant. Since the implementation of inclusive education in the country, there has been a need for personnel to assist subject teachers in educating SEN students.
Initially, the Law of Georgia on General Education included a provision for a "teacher of students with special needs." In 2010, an amendment defined the term "special teacher." According to the latest revision, a special teacher is defined as "a person with professional knowledge, skills, and relevant qualifications defined by the professional standard of a teacher, who independently or together with a subject teacher teaches students with special educational needs or works with them individually or in groups to improve learning outcomes and develop various skills"[2] (21[2]). Despite the legislative definition and the significant role of the special teacher in schools, the issue of special teacher qualifications still persists. After intensive discussions, it was decided that existing special teachers must confirm their professional competence by passing an exam to be granted the status of senior special teacher. It was determined that "a practicing special teacher is required to pass the special teacher exam defined by Georgian Law by January 1, 2025, to confirm their professional competence" (Article 61[3]).
Based on the professional standard for special teachers, an exam program was developed, and in 2021, the National Assessment and Examinations Center (NAEC) conducted the first senior special teacher exam. Since then, this exam has been held annually, with about 2,600 applicants each year. Some of this applicants are practicing special teachers in the system seeking status change, while others are entering the system for the first time as senior special teachers.
One way to strengthen the profession of special teachers is to diversify the pathways to becoming a senior special teacher. Until recently, the status of senior special teacher could only be obtained through an exam, but starting in 2024, a "60-credit special teacher training program" will be launched, granting graduates the status of senior special teacher.

Keywords: special teacher, student with special educational needs, the status of senior special teacher.

[2] Law of Georgia on General Education